ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3439640

ნომერი: AR1526107

თარიღი : 24.07.2017

გაცემის თარიღი : 31.07.2017

გაცნობის თარიღი : 01.08.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის , (ნაკვეთი 09/033) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ამირან წკრიალაშვილი პ/ნ 59001031338
- გორი რ.სტურუას ქ. N 18

ორგანიზაცია:

- პროდიუს ინვესტ კოდი: 417882496

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 2 აგვისტოს №2751007 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებაზე უარის თქმის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2017 წლის 24 ივლისის №AR1526107 განცხადება, ამავე სამსახურის 2016 წლის 2 აგვისტოს №2751007 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 2 აგვისტოს №2751007 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, (ნაკვეთი 09/033), შპს "პროდიუს ინვესტ"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.06.009.045), მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 02 აგვისტოდან 2018 წლის 02 იანვრის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 2 აგვისტოს №2751007 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება, კერძოდ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის +0.0 ნიშნულზე ბ-ე ღერძებს შორის მანძილის 5.85 მეტრის ნაცვლად 6 მეტრის დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2016 წლის 2 აგვისტოს №2751007 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით ყველა ნახაზზე აღნიშნულ ღერძებს შორის მანძილი 5.85-ია, შესაბამისად აღნიშნული მაჩვენებლის ცვლილება იწვევს შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას და მისი გასწორება საჭიროებს არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას, არამედ სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (პროექტის კორექტირებას). შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე ზემოაღნიშნულ სამართლებრივ აქტში.

აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.